ვეტერანი კვლავ მწყობრშია

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 19 ოქტომბერი. 27.600 მაყურებელი.

“დინამო” (თბილისი) – “დნეპრი” (დნეპროპეტროვსკი) 1:1.

“დინამო”: გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჭედია, გოგრიჭიანი, კაკილაშვილი, სვანაძე, სულაქველიძე, გურული, მიქაბერიძე, მესხი.

“დნეპრი”: კრაკოვსკი, ბაშკიროვი, ვიშნევსკი, პუჩკოვი, ლისენკო, შურშინი, კუზნეცოვი, ლიტოვჩენკო, სოროკალეტი, ლიუტი, ტარანი.

22–ე წთ. ტარანი, 75–ე წთ. ჩივაძე.

56–ე წთ. მესხის ნაცვლად – მახარაძე, 66– წთ. ლიუტის ნაცვლად – კუდრიცკი, 72–ე წთ. მიქაბერიძის ნაცვლად – გუცაევი, 74–ე წთ. ლისენკოს ნაცვლად – დილაი.

მსაჯი: ვლადიმერ კუზნეცოვი (ომსკი).

კარში დარტყმა – 11:10 (3:6), საჯარიმო მოედნიდან – 5:3 (1:2), ზუსტი დარტყმა – 6:6 (2:4).

კუთხური – 6:1 (4:1).

დაჯარიმდნენ: თბილისელები – 12–ჯერ (8–ჯერ), დნეპროპეტროვსკელები – 13–ჯერ (8–ჯერ).

გააფრთხილეს მახარაძე.

დნეპროპეტროვსკის “დნეპრი”, თუ ბოლო სამ–ოთხ წელიწადს არ მივიღებთ მხედველობაში, არასოდეს ყოფილა თბილისის “დინამოს” ეგრეთ წოდებულ უხერხულ მეტოქეთა რიცხვში. მისი ასეთ გუნდად გამოცხადება, რა თქმა უნდა, ახლაც ნაადრევია, მაგრამ საკავშირო ჩემპიონატის ფარგლებში გამართული ბოლო ხუთი შეხვედრიდან უკრაინელმა ფეხბურთელებმა სამი მოიგეს და ერთი წააგეს. თუმცა, ზემოხსენებული სამი–ოთხი წელიწადი სწორედ ის პერიოდია, როცა “დნეპრმა” თავისი არსებობის ისტორიაში არნახული აღმავლობა განიცადა და ეს აღმასვლა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტულით დააგვირგვინა, ხოლო თბილისის “დინამომ” ასევე არნახული მარცხი იწვნია, რაც ყველაზე მკაფიოდ ამ ორიოდე წლის წინათ საკავშირო პირველობაში დაკავებული მე–16 ადგილით გამოიხატა.

“დნეპრი” და “დინამო” წლევანდელ გათამაშებაშიც სხვადასხვა ამოცანის გადასაჭრელად იბრძვიან. უკრაინელები ერთ–ერთი საპრიზო ადგილის რეალური პრეტენდენტები არიან, თბილისელთათვის კი შექმნილ ვითარებაში მიზნის მისაღწევად ალბათ ათეულში მოხვედრა ჩაითვლება.

საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებაში ლენინგრადის “ზენიტთან” წაგებული მატჩის გათვალისწინებით თბილისის დინამოელებმა ზედიზედ ოთხი შეხვედრა დათმეს და სავსებით ბუნებრივი იყო მათი სურვილი, როგორმე დაეძლიათ წარუმატებლობათა ეს სერია. ყოველ შემთხვევაში თამაშის დასაწყისში მათი ეს სურვილი აშკარად იგრძნობოდა.

მასპინძლებმა საკმაოდ სწრაფი ტემპით დაიწყეს შეხვედრა და, რაც ყველაზე სასიამოვნო იყო დიდხანს არ ყოვნდებოდნენ მინდვრის შუაგულში, ცდილობდნენ, რაც შეიძლება სწრაფად გადაელახათ ცენტრალური ზონა და მეტოქის კარისთვის შეეტიათ. სამწუხაროდ, ასეთი სურათის მოწმენი მხოლოდ მატჩის პირველ წუთებში (ან, შეიძლება ითქვას, კიდევ რამდენიმე მონაკვეთში) გავხდით. ეს დროის ის მონაკვეთები გახლდათ, როცა თავდამსხმელები ბევრს მოძრაობდნენ, ეძებდნენ

თავისუფალ ადგილებს და ამით ამოცანას უადვილებდნენ ნახევარმცველებს, თავიანთ დანარჩენ პარტნიორებს.

როგორც მოსალოდნელი იყო, “დნეპრს” ყრუ დაცვის ტაქტიკა არ აურჩევია მთავარ იარაღად. სტუმრებმა პირველივე წუთებიდან აგრძნობინეს მეტოქესაც და მაყურებელსაც, რომ თბილისში საკმაოდ სერიოზული განზრახვით ჩამოვიდნენ. ამის დამადასტურებელი იყო შურშინის შორეული დარტყმაც და ის სახიფათო იერიშიც, რომელიც გოგრიჭიანმა თავგანწირული ნახტომით უვნებელყო.

მაგრამ ეს არ გახლდათ ისეთი მომენტები, რომელთაც ფეხბურთის სამყაროში ასპროცენტიანებს უწოდებენ ხოლმე. ასეთი ასპროცენტიანი საგოლე სიტუაცია პირველად სწორედ “დნეპრის” კართან შეიქმნა. მე–13 წუთზე მიქაბერიძემ კარგად ითამაშა, დროულად შენიშნა მესხის მოძრაობა და ზუსტი პასით კრაკოვსკის პირისპირ გაიყვანა თბილისელთა მეთერთმეტე ნომერი. მესხის დარტყმა დაახლოებით 7–8 მეტრიდან არაზუსტი გამოდგა. ცხრა წუთის შემდეგ კი ანგარიშიც გაიხსნა: მასპინძელთა მცველებმა საშუალება მისცეს ლიტოვჩენკოსა და ლიუტის, მარჯვენა ფლანგზე მშვიდად გაეთამაშებინათ კომბინაცია და ხელი ვერც ტარანს შეუშალეს, რომელმაც ეს კომბინაცია გოლით დააგვირგვინა. მართალია, ზოგიერთმა დინამოელმა ჩათვალა, რომ სტუმართა თავდამსხმელი თამაშგარე იყო, მაგრამ სრულიად უნაყოფო გამოდგა კეტაშვილის 30–მეტრიანი რეიდი გვერდითი მსაჯისკენ – გოლი ჩაითვალა.

პირველ ტაიმში მაინცდამაინც ღირსშესანიშნავი აღარაფერი მომხდარა, შესვენების შემდეგ კი მასპინძლები შესამჩნევად გააქტიურდნენ. 50–ე და 57–ე წუთებზე მეტოქის კარს ორჯერ შეუტია გურულმა, მაგრამ პირველად მან მიზანს ააცდინა, მეორედ კი მისი უძლიერესი დარტყმა კრაკოვსკიმ მოიგერია. “დნეპრი” კარგად იცავდა თავს და საკმაოდ ხშირად იერიშზეც გადადიოდა. 72–ე წუთზე ტრიბუნები საგრძნობლად გამოცოცხლდნენ: სარბენ ბილიკზე გამოჩნდა თბილისელთა გუნდის ვეტერანი, 33 წლის ვლადიმერ გუცაევი, რომელმაც მენისკის ოპერაცია გადაიტანა და ფაქტიურად მთელი სეზონი გააცდინა. გუცაევის გამოსვლამ, ვფიქრობ, არა მარტო ტრიბუნები გამოაცოცხლა, არამედ პარტნიორებზეც დადებითად იმოქმედა. ეს აჟიოტაჟი ჯერ დამცხრალიც არ იყო, რომ მასპინძლებმა წონასწორობა აღადგინეს: ჩივაძემ ბრწყინვალედ შეასრულა საჯარიმო დარტყმა და 17 მეტრიდან ბურთი მარცხენა ცხრიანში შეაგდო – 1:1. მეტოქეებმა ქულები გაინაწილეს.

მკითხველის ყურადღება ერთ გარემოებაზე მინდა გავამახვილო: თუ მატჩის ტექნიკურ მონაცემებს გადახედეთ, ალბათ შეამჩნევდით, რომ თბილისელებმა საჯარიმო მოედნის ფარგლებს გარედან ექვსჯერ დაარტყეს მეტოქის კარში. შესაძლოა, ეს ციფრი არც მოგეჩვენოთ ყურადღების ღირსად, მაგრამ არის ერთი დეტალი, რომლის გამოც ღირს მასზე შეჩერება: ექვსიდან ორი გახლდათ საჯარიმო დარტყმა, რომლებიც ჩივაძემ შეასრულა (ერთი კი გოლითაც დააგვირგვინა). ესე იგი, უშუალოდ თამაშიდან დინამოელებმა სულ ოთხჯერ შეამოწმეს კრაკოვსკის საიმედოობა და ოთხივეჯერ ერთმა და იმავე ფეხბურთელმა – სულაქველიძემ. კარგი იქნებოდა, პარტნიორებს გაეთვალისწინებინათ სულაქველიძის მაგალითი. მით უმეტეს, რომ წვიმიან ამინდში შორეული დარტყმები მრისხანე იარაღია. “დნეპრთან” თამაშის დაწყებამდე და მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში კი თითქმის გადაუღებლად წვიმდა.

დავით კაკაბაძე.
“ლელო”, 22 ოქტომბერი, 1985 წ.